ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონი

ანნა მჭედლიშვილი, მარიამ მიქელთაძე, მარიამ კაჭკაჭიშვილი

ელ-ფოსტა: anna.mchedlishvili187@ens.tsu.edu.ge

კომპიუტერული მეცნიერება, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ მე-11 კორპუსი

წარმოდგენილი პროექტი ეხება ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონის ვებსაიტის შექმნას, რომლის მიზანია ქართული ენის პოპულარიზაცია და თანამედროვე ციფრულ გარემოში მისი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

პროექტი ორიენტირებულია დიდი მოცულობის მონაცემებთან ეფექტურად მუშაობასა და თემატურად ორგანიზებულ სტრუქტურაში მათი სწორი მართვის უზრუნველყოფაზე. ვებსაიტი მოიცავს მრავალ თემატურ კატეგორიას. თითოეული სიტყვა დაკავშირებულია ქვეკატეგორიებთან და შეიცავს მნიშვნელოვან ენობრივ მონაცემებს, როგორიცაა ძირითადი სიტყვა, განმარტებები ქართულ და ინგლისურ ენაზე, სინონიმები, იდიომები.

პროექტი პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს ენობრივი რესურსების მიმართ და იმ პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია ქართულენოვანი ლექსიკონებისა და თარგმნის ინსტრუმენტების ნაკლებობასთან ინტერნეტში. არსებული საერთაშორისო პლატფორმები არ ითვალისწინებენ ქართული ენის სტრუქტურულ სირთულეებს, როგორებიცაა მრავალმნიშვნელოვნება, სინონიმების სიჭარბე და გრამატიკული ფორმების მრავალფეროვნება. შესაბამისად, საჭირო გახდა სპეციალური პლატფორმის შექმნა, რომელიც შეძლებს არა მხოლოდ მონაცემთა წარმოდგენას, არამედ სხვადასხვა თემატურ დონეზე მოდიფიკაციას.

პროექტის განხორციელებისას გამოყენებულია თანამედროვე ვებ-ტექნოლოგიები, როგორიცაა HTML, CSS, JavaScript და PHP, რაც უზრუნველყოფს პლატფორმის ფუნქციურობასა და მომხმარებლისთვის ინტუიციური ინტერფეისის შექმნას. ტექნოლოგიები შერჩეულია ისე, რომ სისტემამ შეძლოს ეფექტურად და სწრაფად მუშაობა დიდი მოცულობის მონაცემებთან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მარტივად მოხდეს მათი განახლება და გაფართოება.სისტემაში ჩაშენებულია ადმინისტრაციული პანელი თემებისა და ქვეკატეგორიების სამართავად. პროექტი წარმოადგენს ქართულ-ინგლისური ციფრული ლექსიკონის განვითარების მნიშვნელოვან ნაბიჯს და ხელს უწყობს ქართული ენის დიგიტალიზაციას, უცხოელებისთვის ქართული ენის შესწავლის პროცესის გამარტივებასა და ენობრივი რესურსების გაძლიერებას ინტერნეტ სივრცეში.

ლიტერატურა

[1] "Dictionary.ge," Dictionary.ge, http://www.dictionary.ge (Website)
[2] "Georgian-English Dictionary," Glosbe, https://ka.glosbe.com/ka/en (Website)
[3] "MATSNE Dictionary," MATSNE, http://matsnedictionary.gov.ge/?cult=ka-GE (Website)
[4] "Georgian-English Dictionary of Modern Words," Wiktionary, https://en.wiktionary.org/wiki/Category:Georgian_lemmas (Online Dictionary)
[5] "The Georgian Language and its Development," Language Resources and Evaluation, https://www.language-resources.org, 2023. (Online resource)
[6] Translate.ge, "English-Georgian Translation Service," [Online]. https://translate.ge/
[7] Lexicon.ge, "English-Georgian Dictionary," [Online Dictionary], https://lexicon.ge/.